საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

## 2011 წლის ანგარიში

# საგარეო დაფინანსება

## ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენცია

ბრიუსელში 2008 წლის ოქტომბერში საქართველოს მხარდასაჭერად გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე დონორების მიერ დაპირებულმა თანხამ (Brussels Pledge) შეადგინა 4.5 მლრდ აშშ დოლარი. 2011 წლის შედეგების გათვალისწინებით, სულ საჯარო და კერძო სექტორში გაფორმებულია ფინანსური რესურსი დაპირებული თანხის მთლიან მოცულობაზე, აქედან ჩამორიცხულია 2.5 მლრდ აშშ დოლარზე მეტი. დარჩენილი თანხების ათვისება გაგრძელდება მომავალი წლების განმავლობაში, დონორების მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დინამიკის შესაბამისად. ათვისების ეს გრაფიკი ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის და დასაქმების წახალისებას ქვეყანაში იაფი ფინანსური რესურსის შემოდინების გზით და შესაბამისად კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკის დაცულობას უარყოფითი გლობალური ეკონომიკური ფაქტორებისგან.

**საჯარო სექტორში გაფორმებული თანხები დონორების მიხედვით**




**გაფორმებული თანხები სექტორების მიხედვით**



# საგარეო დაფინანსება

## ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენცია: 2008-11 წლების შესრულება, საჯარო სექტორი

**საბიუჯეტო მხარდაჭერა**

- ✓გაფორმებულია - 892.5 მლნ აშშ დოლარი
- ✓მიღებულია - 866.0 მლნ აშშ დოლარი

**იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა**

- ✓გაფორმებულია - 255.1 მლნ აშშ დოლარი
- ✓მიღებულია - 136.3 მლნ აშშ დოლარი

**საგზაო ინფრასტრუქტურა**

- ✓გაფორმებულია - 670.8 მლნ აშშ დოლარი
- ✓მიღებულია - 344.0 მლნ აშშ დოლარი

**ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა**

- ✓გაფორმებულია - 551.0 მლნ აშშ დოლარი
- ✓მიღებულია - 186.5 მლნ აშშ დოლარი

**მუნიციპალური და ურბანული ინფრასტრუქტურა**

- ✓გაფორმებულია - 575.3 მლნ აშშ დოლარი
- ✓მიღებულია - 267.3 მლნ აშშ დოლარი

**სოფლის მეურნეობა და სხვა**

- ✓გაფორმებულია - 441.6 მლნ აშშ დოლარი
- ✓ მიღებულია - 254.1 მლნ აშშ დოლარი

# საგარეო დაფინანსება

## საგარეო წყაროებიდან დაფინანსებული პროექტები



ADB პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ზუგდიდი-მესტიის გზა




WB პროექტის ფარგლებში დაფინანსებული რიკოთის გვირაბი






WB პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ჩქაროსნული ავტომაგისტრალი (East-West Highway)

# საგარეო დაფინანსება
## საგარეო წყაროებიდან დაფინანსებული პროექტები



KfW ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა (გარდაბნის ქვესადგური)



WB დაფინანსებული დისპეტჩერული მართვის ავტომატიზირებული სისტემა - SCADA



იაპონიის საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა



WB ვაზიანი-გომბორი-თელავის ახალი გზა

# სახელმწიფო ვალის მართვა






# სახელმწიფო ვალის მართვა

## სახელმწიფო ვალის სტრუქტურა და საშუალო საპროცენტო განაკვეთი




სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი

**2.0%**

## სახელმწიფო საგარეო ვალი საპროცენტო განაკვეთის ტიპების მიხედვით






### სახაზინო ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია

| ვალის ნაშთი - 2011 წლის დეკემბერი | მლნ ლარი |
|---|---|
| 12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები | 214.4 |
| 2-წლიანი სახაზინო ობლიგაციები | 278.0 |
| 5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები | 30.0 |
| **სულ** | **522.4** |

### 12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები




### 2-წლიანი სახაზინო ობლიგაციები




### 5-წლიანი სახაზინო ობლიგაციები



# სახელმწიფო ვალის მართვა
## ევროობლიგაციის რეფინანსირების /პროლონგირების ტრანზაქცია

2011 წლის აპრილში განხორციელდა ევროობლიგაციის რეფინანსირების/პროლონგირების ტრანზაქცია. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს 7.5%-ად გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა (გამოსყიდული იქნა 435.25 მლნ აშშ დოლარის ძირითადი თანხა, ანუ 87.1%) და ახალი 10-წლიანი ევროობლიგაციის განთავსება უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით, კერძოდ კუპონის წლიურმა განაკვეთმა შეადგინა 6.875%.

ტრანზაქციის შედეგად უფრო მდგრადი და ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების გრაფიკი. 2013 წლის მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტი საპროგნოზო საბიუჯეტო შემოსავლებთან მიმართებაში შემცირდა 18.5%-დან მიახლოებით 7.0%-მდე.

### 2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაციის მაჩვენებლების დინამიკა



# სახელმწიფო ვალის მართვა

## ვალის მართვის და ფინანსური ანალიზის ახალი სისტემა (DMFAS 6.0)




ახალი გამარტივებული გრაფიკული ინტერფეისი

- ✓ ვალის მართვის ახალი IT სისტემის ინსტალაცია ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ სერვერებზე და სამუშაო კომპიუტერებზე (workstations)
- ✓ ახალი ORACLE სისტემის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა მისი უსაფრთხოებაა, გამომდინარე იქიდან რომ მისი ადმინისტრირება განხორციელდება სამინისტროს ერთიანი IT უსაფრთხოების პრინციპების შესაბამისად (Server Security Policy, Backup Policy, Dedicated Database Administrator etc.)
- ✓ ახალი სისტემა საშუალებას იძლევა შევქმნათ სახაზინო ფასიანი ქაღალდების ერთიანი მონაცემთა ბაზა
- ✓ მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდება ყველა გადასესხების ხელშეკრულება

# სარეიტინგო სააგენტოები

### STANDARD & POOR'S

2010 წელი:
B+ Stable

2011 წლის მარტი:
B+ Positive

2011 წლის ნოემბერი:
BB- Stable

### FitchRatings

2010 წელი:
B+ Stable

2011 წლის მარტი:
B+ Positive

2011 წლის დეკემბერი:
BB- Stable

არსებული გლობალური გამოწვევების ფონზე, საქართველოს რეიტინგის გაუმჯობესება ორი წამყვანი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ ცალსახად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს აღიარებას იმ ინსტიტუციონალური, საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და სტრუქტურული რეფორმებისა და პოლიტიკის რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

სარეიტინგო სააგენტომ Moody's 2011 წლის დეკემბერში საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად Ba3 (BB-) დონეზე დატოვა.

# თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან

საერთაშორისო სავალუტო ფონდის Stand-by Arrangement პროგრამა 2011 წლის ივნისში დასრულდა.

პროგრამის დასრულების შემდეგ, IMF-ის დირექტორთა საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ პროგრამას შემდეგი შეფასება მისცა: "The Georgian authorities are to be commended for successfully implementing the SBA-supported program. The program objectives have been largely achieved, evidenced by the rebound in economic activity, improved market confidence, and the recovery of international reserves to their pre-crisis level… The authorities are firmly committed to fiscal consolidation."

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის SBA პროგრამა - მიღებული დაფინანსება**

*მლნ აშშ დოლარი*

| | ჩამორიცხვები | | | | მთლიანი ნაშთი[1] | %-ად კვოტასთან |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **2008** | **2009** | **2010** | **2011** | | |
| ეროვნული ბანკი | 256.4 | 249.7 | 0.0 | 0.0 | 506.1 | 212% |
| ფინანსთა სამინისტრო | 0.0 | 100.4 | 308.5 | 0.0 | 408.9 | 172% |
| | **256.4** | **350.1** | **308.5** | **0.0** | **915.0** | **384%** |

შენიშვნა: [1] 2011 წლის ივნისის მდგომარეობით
SDR/USD 1.5855